

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2022 წლის 26 იანვარი

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასაბილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასაბილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ჯანიკაშვილი

დანართი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასაბილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს წესი განსაზღვრავს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასაბილოში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმებს, მათი რეგისტრაციის პირობებსა და სამართლებრივ პროცედურებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. უფასო სასაბილო – სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტ(ებ)ი, რომელიც უსასყიდლოდ ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და ფაქტობრივად მცხოვრებ ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებს;
2. ბენეფიციარი – პირი, რომელიც სარგებლობს უფასო სასაბილოს მომსახურებით;
3. რეგისტრაცია – ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის ბენეფიციარად აღრიცხვა;
4. კომისია – სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის კომისია;
5. დირექტორი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასაბილო“-ს დირექტორი;
6. მერი-სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 3. უფასო სასაბილოში ბენეფიციართა რაოდენობა

უფასო სასაბილოს ბენეფიციართა საერთო რაოდენობას, უფასო კვებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, განსაზღვრავს მერი კომისიის ან/და დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 4. ბენეფიციართა რეგისტრაცია

1. უფასო სასაბილოში ბენეფიციარად რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადებას თან უნდა ახლდეს:



- ა) საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი, ხოლო საიდენტიფიკაციო დოკუმენტში რეგისტრაციის ადგილის განუსაზღვრელობის შემთხვევაში, ასევე სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან-ანკეტის (ფორმა N1) ასლი;
 - ბ) თუ ბენეფიციარი რეგისტრირებული არ არის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მან დამატებით უნდა წარადგინოს მერის წარმომადგენლის ცნობა პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ;
 - გ) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების (სარეიტინგო ქულის) დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - დ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.
2. კომისია განცხადებას, მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის (შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან) გათვალისწინებით, განიხილავს ინდივიდუალურად არაუგვიანეს 10 დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
 3. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს კომისიის სხდომის ოქმით.
 4. კომისია 6 თვეში ერთხელ, საკუთარი ინიციატივით გადასინჯავს რეგისტრირებულ ბენეფიციართა სიას, ბენეფიციართა განცხადებების ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მუხლი 5. ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. ბენეფიციარად რეგისტრირდება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მისი ოჯახი აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0-დან 65001-მდე.
2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ იგი მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.
3. განსაკუთრებულ (სტიქიური მოვლენების, ეპიდემიის და მსგავს წინასწარ გაუთვალისწინებელ) შემთხვევებში, შესაძლებლობის ფარგლებში, კომისიის ან/და დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაზარალებულ პირებს შუძლიათ ისარგებლონ უფასო სასაბუღალტრო მომსახურებით, ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად.

მუხლი 6. უარი ბენეფიციარად რეგისტრაციაზე

1. კომისია უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის ბენეფიციარად რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში:
 - ა) თუ იგი ვერ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
 - ბ) თუ განმცხადებელი დადგენილ ვადაში არ აღმოფხვრის კომისიის მიერ განსაზღვრულ ხარვეზს;
 - გ) შევსებულია მერის მიერ განსაზღვრული ბენეფიციართა საერთო რაოდენობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შემთხვევაში პირი ირიცხება სარეზერვო სიაში.

მუხლი 7. ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძვლები

ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნა ხორციელდება, თუ:

- ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მიმართა მერიას აღნიშნულის შესახებ;
- ბ) ბენეფიციარი არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს;
- გ) თუ კომისიის მიერ სიის გადასინჯვის შედეგად დადგინდა, რომ ბენეფიციარის განცხადება აღარ აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;
- დ) ბენეფიციარი ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ სარგებლობს უფასო სასაბუღალტრო მომსახურებით და ეს გარემოება არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;
- ე) ბენეფიციარი გარდაიცვალა.

მუხლი 8. ბენეფიციარის რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გადაწყვეტილებას პირის ბენეფიციარად დარეგისტრირების/რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ იღებს კომისია საკუთარი ინიციატივით, დაინტერესებული პირის განცხადების ან/და დირექტორის



წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

2. კომისიის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეგზავნება დირექტორს.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. პირი, რომელიც აღნიშნული წესის ამოქმედებამდე სარგებლობდა უფასო სასაბიჯოს მომსახურებით, ბენეფიციარად რეგისტრირდება თუ აკმაყოფილებს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მე-7 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, მითითებული პირის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ.

